საერთაშორისო სამეცნიერო კოლოკვიუმი

ქალები ძალაუფლებასა და მეცნიერებაში

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

28-29 მაისი, 2019 წ.

აბსტრაქტების წარდგენის ბოლო ვადა: ***15 აპრილი, 2019 წ.***

როგორია ქალთა ადგილი სახელისუფლებო ინსტიტუციებსა თუ სამეცნიერო ცენტრებში ? რჩება თუ არა დღევანდელ საზოგადოებაში საუკუნოვანი ტრადიციები, კულტურული პრაქტიკა თუ ოჯახური მადგომარეობა ქალთა როლის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებად? რა ფორმით ეხმარება ან არ ეხმარება დღევანდელი მსოფლიო სისტემა ქალებს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში და პოლიტიკის მშენებლობასა და მეცნიერების განვითარებაში წვლილის შეტანაში ?

ქალები შეადგენენ ყველა ქვეყნის ადამიანური რესურსიების მნიშვნელოვან ნაწილს, ისინი წარმოადგენენ მეცნიერების, პოლიტიკისა თუ ინოვაციისთვის აუცილებელი ტალანტების საცავს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, უმეტესწილად, ქალები არ არიან ან მცირედ არიან წარმოდგენილნი აღნიშნულ სფეროებში.

უმაღლესი დონის მქონე ქალი მეცნიერები კვლავ განიხილებიან, როგორც გამონაკლისი. მათ მუდმივად ესაჭიროებათ რაიმეს მტკიცება, რათა საზოგადოებას გააგონონ საკუთარი ხმა, დაიმკვიდრონ თავი, მართონ დიდი სამეცნიერო დაწესებულებები.

2000 წლიდან მოყოლებული ევროკავშირი მხარს უჭერს პარიტეტისა და თანასწორობის პრინციპებს კარიერული განვითარების საკითხებში. ლიტველი-ამერიკელი ასტროფიზიკოსი ვერა რუბინი ამბობს : "არ არსებობს სამეცნიერო პრობლემა, რომლის გადაჭრა კაცს შეუძლია და ქალს არა''. ბრიტანელი ჰერტა აიროტონი ასი წლით ადრე წერს: " მეცნიერს შეუძლია იყოს კარგი ან ცუდი და არა კაცი ან ქალი".

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქალი უკვე წარმატებულია მეცნიერებისა და პოლიტიკის სხვადასხვა დარგებში, რჩება დიდი გასავლელი გზა, რომ მიღწეულ იქნას ორ სქესს შორის სრული თანასწორობა.

გოგონების შემთხვევაში კვლავ ნაკლებია დასაქმების შანსი სამეცნიერო თუ პოლიტიკურ სფეროებში. ზოგიერთ ქვეყანაში ქალების ფინანსური ანაზრაურება, რომლებიც აღნიშნულ დარგებზე მუშაობენ, ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე მამაკაცების შემთხვევაში. ქალები მუდამ რჩებიან კონცენტრირებულნი პოლიტიკური და სამეცნიერო სისტემის ქვედა ეშელონებზე.

იუნესკოს სტატისტიკური კვლევების ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, პოლიტიკასა და მეცნიერებაში ქალების შეფარდებითი რაოდენობა ოდნავ აჭარბებს ერთ მეოთხედს. ხოლო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ისინი თითქმის უარყოფილები არიან.

კოლოკვიუმში მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით :

- ***მეცნიერი ქალების ისტორული სახეები;***
- ***ქალთა გამოგონებები;***
- ***ქალის როლი დღევანდელ საზოგადოებაში;***
- ***ქალთა უფლებები;***
- ***ქალები - ევროპული პოლიტიკის ნაწილი;***
- ***ქალების მიერ წარმართული პოლიტიკა;***
- ***პოლიტიკურ და სამეცნიერო სფეროში ქალთა პროფესიული ჩართულობა;***
- ***ქალი პოლიტიკოსების უპირატესობები და უარყოფითი მხარეები;***
- ***მეცნიერთა უპირატესობები და უარყოფითი მხარეები;***
- ***ქალები ტრადიციების პირისპირ.***

*კოლოქვიუმის ენები : **ქართული, ფრანგული, ინგლისური***

ანონიმურ ექსპერტთა მიერ ორმაგი შეფასების შემდეგ შერჩეული ტექსტები გამოქვეყნდება.

კოლოქვიუმში მონაწილეობა :

შრიფტი: Times New Roman, 11
ინფორმაცია:
ქალბატონი/ბატონი:
სახელი:
გვარი:
სწავლების საფეხური:
უნივერსიტეტი:
საფოსტო მისამართი:
ელ.ფოსტის მისამართი:
ნაშრომის სახელწოდება: (მაქსიმუმ 20 სიტყვა)
ნაშრომის მოკლე შინაარსი და საკვანძო სიტყვები ინგლისურ ენაზე (მაქსიმუმ 200 სიტყვა)

კოლოკვიუმში მონაწილეობა უფასოა, AUF''- ის წევრი უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის; სხვა უნივერსიტეტებისა და ინსტიტუციების შემთხვევაში - 50 ევრო

გთხოვთ, გადმოაგზავნოთ თქვენი მონაცემები და ნაშრომის შინაარსი შემდეგ მისამართზე:
t.gagoshidze@gruni.edu.ge
m.sulashvili@gruni.edu.ge

აბსტრაქტების გადაგზავნის ბოლო ვადა : 15 აპრილი 2019
პასუხის გადაგზავნა : 2019 წლის 30 აპრილი
კოლოკვიუმის პროგრამის გამოქვეყნება : 2019 წლის 15 მაისი